საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №272
2025 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 1002 – სსიპ – „ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„85[5]	1003	ა(ა)იპ – სამხედრო ჰოსპიტლის სისხლის ბანკი“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი – 4012 – სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მომსახურების სააგენტო“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„377	4012	სსიპ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტო“;

გ) ბიუჯეტის განმკარგველი – 6187 – „სსიპ – ქალაქ რუსთავის №6 საჯარო სკოლა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1707	6187	სსიპ „გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ რუსთავის №6 საჯარო სკოლა“;

დ) ბიუჯეტის განმკარგველი – 6470 – „სსიპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1990	6470	სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარცხმის საჯარო სკოლა“.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი კაკაურიძე**